გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მელანაშვილის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის სარეგულოს 14 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 204 საკითხის განხილვაში. ბიუროს ... სხდომას და მონაწილეობა მივიღე... საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში". დავესწარი ფრაქციის 5 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 83 საკითხის განხილვაში.

ვარ ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. აღნიშნულ კომისიაში სულ ჩატარდა 11 კომისის სხდომა და განხილულია 79 საკითხი. პირადად ჩავატარე 10 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 78 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 13 საკითხის განხილვაში.

გარდა ამისა ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს რა დროსაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, გამოვლენილ პობლემებზე მოვახდინე რეაგირება. ამასთან აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში და პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში.

2024 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

ვარიანის ადმინისტრაციული ერთეული.

1. სოფელ არაშენდაში შიდა საუბნო გზებზე მოეწყო 2300 მეტრზე ასფალტის საფარი. სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში შემოისაზღვრა ტაძრის მიმდებარე ტერიტორია.
2. სოფელ ახალდაბაში ხელოვნურ საფარიან სპორტულ მოედანზე შეიცვალა საფარი. შეიცვალა სასმელი წყლის მილსადენი 150 მეტრზე და სასმელი წყლის ჭაბურღილი გადაყვანილ იქნა ავტომატურ ჩართვის რეჟიმზე.

3. სოფელ ვარიანში აშენდა საბავშვო ბაღი და სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ღორღით მოიხრეშა 800 მეტრი შიდა უბნები.

4. სოფელ საქაშეთში აშედენდა ხელოვნურ საფარიანი მოედანი და სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოიხრეშა ღორღით 600 მეტრი შიდა უბნები.

5. საქაშეთის დევნილთა დასახლებაში შიდა უბნებში მოეწყო სანიაღვრე არხები და დაიგო ასფალტის საფარი.

5. ვარიანის მეურნეობის დასახლებაში, შეიცვალა სასმელი წყლის მილსადენი დამონტაჟდა სასმელი წყლის მრიცხველები და სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოიხრეშა ღორღით 450 მეტრი შიდა უბნები.

შინდისის ადმინისტრაციული ერთეული.

1. სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოეწყო გარე განათება.

2 სოფელ ყელქცეულში 1200 მეტრზე ღორღით მოიხრეშა შიდა საუბნო გზები.

3. სოფელ ფხვენისში, ფხვენისი ქვემოხვითის დამაკავშირებელ გზაზე დაიგო ასფალტის საფარი და მოეწყო სარწყავი არხები. ასფალტის ნაფრეზით მოიხრეშა 800 მეტრამდე შიდა საუბნო გზები. სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მიმდინარეობს სკვერის მოწყობა.
4 სოფელ ქვემოხვითში სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში განხორციელდა სასმელი წყლის გამრიცხველიანება.

ნიქოზის ადმინისტრაციული ერთეული.

1 სოფელ ქვემონიქოზში სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ღორღით მოიხრეშა 600 მეტრი სავარგულებთან მისასვლელი გზა.

2 სოფელ ზემონიქოზში სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ღორღით მოიხრეშა 600 მეტრი სავარგულებთან მისასვლელი. სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მოეწყო ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედანი. დაიგო 150 მეტრზე ასფალტის საფარი და ჩაუტარდა ასფალტის საფარიან გზას ორმული შეკეთება 800 მეტრზე.

3 სოფელ ზემოხვითში ასფალტის საფარიან გზას ჩაუტარდა ორმული შეკეთება 800 მეტრზე და სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოიხრეშა ღორღით სავარგულებთან მისასვლელი გზა 600 მეტრზე.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მელანაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. ზემო ნიქოზი 2024 წლის 21 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომერის მოადგილე: თამარ მურალოვა;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: მერაბ მელანაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ნიქოზის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი შორენა შოშიაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ მურალოვა;

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის მერაბ მელანაშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მერაბ მელანაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მერაბ მელანაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის

გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მერაბ მელანაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ხატია სეხნიაშვილმა, წენია გამგებელმა და ივანე მელანაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა;

საკრებულოს წევრი : მერაბ მელანაშვილი.